



ჩვენ ხელს ვუწყობთ აქტიურ სიბერეს. აქედან გამომდინარე, მხარს ვუჭერთ ამ ასაკობრივ ჯგუფებში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე ციფრული უნარების განვითარებას. **იტალია**



ჩვენ გთავაზობთ ორგანიზაციების სოციალური და ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, მათი შესაძლებლობების გაზრდის საფუძველზე. **პორტუგალია**



ჩვენ ხელს ვუწყობთ სოციალურ ინტეგრაციას და ვაუმჯობესებთ მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების პირობებს განათლების პროგრამებისა და დასაქმების შესაძლებლობების შეთავაზებით. **რუმინეთი**



ჩვენ გთავაზობთ საკონსულტაციო მომსახურებას, ტექნიკურ მხარდაჭერას და პროექტის განხორციელებას შემდეგი მიმართულებებით: განათლება და ტრენინგი; კომპიუტერული ტექნოლოგიები; კვლევა და ტექნოლოგიური განვითარება; საერთაშორისო ურთიერთობები. **ბულგარეთი**



ჩვენ ვართ ერთ-ერთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ქართული კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაციასა და მდგრად განვითარებაზე. **საქართველო**

ჩვენ წვლილი შეგვავს ტრადიციული რეწვის სფეროში ცოდნის და გამოცდილების დაცვა, გაღრმავებასა და განვითარებაში. **ბელგია**



ჩვენი ძირითადი საქმიანობა უკავშირდება ეროვნულ და ევროკავშირის მიერ თანა დაფინანსებულ პროექტებს ეკონომიკისა და განვითარების სხვადასხვა სექტორში. **კვიპროსი**



With the support of the Erasmus + Programme of the European Union  
GA n. 2020-1-IT02-KA227-ADU-095006

<https://madineurope.eu/Craft50plus>



მეტი ციფრული შესაძლებლობები 50 წელს გადაცილებულ ტრადიციული რეწვის ოსტატებს საკუთარი წარმოების უკეთ განვითარებისთვის



ევროპული პროექტი მიზნად ისახავს 50 წლის ან უფრო ასაკოვანი ტრადიციული რეწვის ოსტატების სამეწარმეო უნარების გაუმჯობესებას და მათთვის ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობების უკეთ გაცნობას

## მოკლე აღწერა

ტრადიციული რეწვის და დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების პროფესიები მნიშვნელოვანია!

ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების წარმოება არის ადამიანზე ორიენტირებული პროფესიები, რომელიც საფუძველს ადგილობრივ ევროპული კულტურებიდან და ეკონომიკიდან იღებს, მათ შორის ცირკულარული ეკონომიკიდანაც.




პოსტეკონომიკური და ჯანდაცვის კრიზისის შედეგად სექტორი დადგა შემდეგი საფრთხეების წინაშე:

- მცირე ზომის წარმოება = ნაკლები კონკურენტუნარიანობა;
- ასაკოვანი პროფესიონალები = შემოსავლებისა და პოპულარიზაციის ზრდისთვის საჭირო ციფრული უნარების ნაკლებობა;
- ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებული სექტორი და ადგილობრივი წარმოება = სუსტ კავშირს გლობალურ ბაზართან.
- ეკონომიკური და ჯანდაცვის კრიზისი = შემოსავლის დაკარგვა და უმუშევრობა

## პროექტი

Craft 50+

არის საგნმანათლებლო პროგრამა, რომელიც იმუშავებს ევროპის 7 პარტნიორი ქვეყნის ოსტატების უკეთ წარმოჩენაზე. პროექტი ასევე მიმართულია ოსტატების ციფრული უნარების გაძლიერებისკენ, რაც მათ შემოქმედებით შესაძლებლობების გააუმჯობესებაში დაეხმარება.



საერთაშორისო ბაზარზე 50 წელს გადაცილებული ოსტატების პროდუქციის პოპულარიზაცია, მათთვის ახალი შესაძლებლობების უკეთ გაცნობით;

ხელოსნობის ცოდნის შენარჩუნება;

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ტრადიციის შეჯერება ინოვაციასთან;



## მოსალოდენელი შედეგები

კვლევა, რომელიც ოსტატებისთვის წარმოების შექმნისა და უკეთ მართვის მიზნით, შეისწავლის რეწვის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის არსებულ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებს

ოსტატების გამოკითხვის საშუალებით საჭიროებათა ანალიზის მომზადება

რეწვის ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სასწავლო კურსი

ხელოვნებისა და რეწვის ინსტრუმენტარიუმი (Art and Crafts toolkit): ეს სახელმძღვანელო გააერთიანებს პროექტის ფარგლებში ოსტატების მიერ განვითარებულ უნარ-ჩვევებს

ბიზნესის დაწყების და წარმატებით განვითარების მოქმედებათა რუკა

პროექტის შედეგების მაქსიმალური გავრცელება სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით

